MES 8 22 0000115318

07/02/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 24 იანვარს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/85130024959?pwd=d1MxMDMrRWd4MFpXNVRRYWRjZWQ2Zz09

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე.
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი// საბჭოს წევრი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი// საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მთავარი მენეჯერი// საბჭოს წევრი.;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“:
ნონა ღუდუშაური - დირექტორი;
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
იაკინთე ჩხარტიშვილი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
მადონა მიქელაძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი;

შპს საქართველოს საავიაციო აკადემია:
ეკატერინე აზარაშვილი - აკადემიის დირექტორი;
თენზიგ სასირელი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“:
რაინდი ლომაია - დირექტორი
ავთანდილ ჭანკვეტაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ კასპის კოლეჯი
დემეტრე დემეტრაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
დიანა გახარია
მედეა ზურაბიშვილი
ინგა ბოჭოიძე
ეკატერინე გიგაშვილი
ნიკა თიკანაშვილი
ნათელა ჩაჩუა
ანა უგულავა
ქეთევან ღვანიძე

მანანა მოისწრაფიშვილი
მანანა მახარაშვილი
ირმა ღარიბაშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
მანანა კობალაძე
დავით გუდაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:08 საათი

სხდომის დაწყებისას საბჭოს თავმჯდომარე არ ესწრებოდა სხდომას და მისი დავალებით, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციის შესრულება დაევალა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა. ის მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**
1. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ კასპის კოლეჯის „შედუღების“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“, სამღებრო სამუშაოების წარმოების“, იატაკისა და ფილის სამუშაოების“, „სამკერვალო

წარმოების“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „ვიზაჟის მომსახურების“ და „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგს. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს თხოვნით მიმართა მონიტორინგის თარიღისა და ფარგლების დაზუსტებაზე. ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა, იმის შესახებ, თუ რატომ დადგა შუამდგომლობის დაყენების საჭიროება საბჭოზე. 2021 წლის 11 ივნისის საბჭოს სხდომის დღის წესრიგით მეშვიდე საკითხად განხილულ იქნა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის „გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, არაუგვიანეს 2022 წლის პირველი კვარტლისა, ჩაინიშნოს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სრული მონიტორინგი, აქვე აღნიშნა, რომ საბჭო არ განსაზღვრავს მონიტორინგის ფორმას, მიზანშეწონილია მონიტორინგის ფორმა ცენტრმა შეარჩიოს შემოწმების ფარგლებიდან და მონიტორინგის პერიოდისთვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა უფრო მეტად მიზანშეწონილია ვიზიტი, ამასთანავე ფიზიკური ვიზიტი, თუ საქმე ეხება მატერიალურ რესურსებს. დღის წესრიგით მერვე-მეთექვსმეტე საკითხებად განხილულ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ცხრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც ჩაინიშნა სრული მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 10 პროგრამიდან 4 პროგრამაზე, კერძოდ: „გემბანის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია", "გემბანის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია", "სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის ოპერირება" და "საბაჟო საქმე", დაწესებულებამ შემოიტანა კვოტის გაზრდის განაცხადი. ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები და შემოწმების ფარგლებია 2.2 და 2.4 კომპონენტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ოთხ პროგრამაზე აღარ არის მონიტორინგი მიზანშეწონილი და ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით:
1. დაკონკრეტდეს 2022 წლის პირველ კვარტალში მონიტორინგის განხორციელების თარიღი.
2. დაკონკრეტდეს მონიტორინგის განხორციელების ფორმა.
3. დაკონკრეტდეს შემოწმების ფარგლები - დაწესებულების პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე/ ინსტიტუციური სტანდარტები და აღნიშნულ საბჭოზე წარდგენილი 10 პროგრამიდან ექვსი პროგრამაზე („თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ , „შედუღება (მესამე დონე)“ , შედუღება (მეოთხე დონე)“, , „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“, „ამწის ოპერირება III დონე“, „ამწის ოპერირება IV დონე“) - 2.2 და 2.4 კომპონენტები(დასკვნებიდან გამომდინარე)

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ცენტრის შუამდგომლობა და შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2022 წლის 15 მარტიდან, მონიტორინგის განხორციელების ფორმა დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და მონიტორინგის ფარგლებად, დაწესებულების პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე (ინსტიტუციური სტანდარტები) და 2021 წლის 11 ივნისის საბჭოზე წარდგენილი 10 პროგრამიდან ექვს პროგრამაზე („თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ , „შედუღება (მესამე დონე)“ , შედუღება (მეოთხე დონე)“, „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ , „ამწის ოპერირება III დონე “, „ამწის ოპერირება IV დონე“) - 2.2 და 2.4 კომპონენტები.

ქალბატონი ნანა ყუფუნია საბჭოს სხდომას შემოუერთდა 14:12 საათზე თუმცა განაცხადა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ შეძლებდა სრულად ჩართულიყო სხდომის მიმდინარეობაში და დაავალა ქალბატონ შორენა ჯაფარიძეს, წარემართა სხდომა და შესაბამისად, განეხორციელებინა ოქმის ხელმოწერა.

1. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ - კოლეჯი „მერმისის“დირექტორმა, ქალბატონმა ნონა ღუდუშაურმა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს (შემდგომში-ცენტრი) 2021 წლის 23 დეკემბერს მიმართა წერილით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან შუამდგომლობისათვის. წერილში აღნიშნულია, რომ სსიპ-კოლეჯში "მერმისი" დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“. სსიპ-კოლეჯ „მერმისის“ დირექტორის 2021 წლის 19 დეკემბრის No04-410 ბრძანებით გაუქმდა ზემოხსენებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიმართა ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წინაშე შუამდგომლობის თხოვნით, განახორციელოს შესაბამისი ცვლილება სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს No157 გადაწყვეტილებაში კოლეჯის „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ (ს/კ:209467646) ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „მერმისის“(ს/კ:209467646) ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გაუქმდეს „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(და ნართი 1)**.

ბატონმა გიორგი ხიშტოვანმა საბჭოს სხდომა დატოვა 15:30 საათზე.

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ 2-4 საკითხების განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფების თავმჯდომარეს დიანა გახარიას და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფების თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხების განხილვა დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით. დიანა გახარიას განცხადებით, ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 25 ოქტომბერს სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კონკრეტულად პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში, ვიზიტი ეხებოდა „ბუღალტრული აღრიცხვის“, „საფინანსო სერვისების“ და „საბიბლიოთეკო საქმის“ პროგრამების განხორციელების ფართის/განხორციელების ადგილის ცვლილებას, შემოწმების ფარგლები გულისხმობს მე-5 სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტებს, ხოლო მე-2 სტანდარტიდან 2.2 და 2.4 კომპონენტებს. ექსპერტმა წარმოადგინა ექსპერტთა შეფასება, რომელიც ეყრდნობოდა სტანდარტების მოთხოვნებს, სტანდარტის ფარგლებში შემუშავებულ ცენტრის რეკომენდაციებსა და გზამკვლევებს.
მისი განცხადებით, 5.1 და 5.2 კომპონენტებში, სამივე პროგრამის შემთხვევაში, არ ფიქსირდებოდა შესაბამისობა, ასევე 2.4 კომპონენტში. ექსპერტმა პრეზენტაციაში წარმოადგინა შეფასება ვიზიტამდე შემუშავებული გეგმის შესაბამისობის საფუძველზე, შეფასებები, რომლებიც არის დაყრდნობილი ვიზიტის შემდგომ შემუშავებული გეგმის შესაბამისობის საფუძველზე, ასევე, ცვლილებები გამოიწვია დაწესებულების გამოგზავნილმა არგუმენტირებულმა წერილმა, სადაც იკითხებოდა ისეთი ახსნა, რომელიც მიიღეს ექსერტებმა მხედველობაში და მათ შორის წარმოდგენილი იყო ისეთი ტიპის მტკიცებულებები, რომლებსაც მანამდე არ იცნობდნენ ექსპერტები, ამიტომ შეიცვალა შეფასება.

ექსპერტმა ისაუბრა ვიზიტამდე შემუშავებულ გეგმასთან დაკავშირებით.

5.1.2-3 ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ, შენობის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სრულად გამართვის მიზნით, შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“. სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია 2021 წლის 31 დეკემბერს.
5.1.2-4 ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ, შენობის უსაფრთხოების კამერებით აღჭურვის მიზნით, შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შესაბამისი“. სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია 2022 წლის 15 თებერვალს.
ამის შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ვიზიტის შემდგომ შემუშავებულ გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოადინა დაწესებულებამ და ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მხედველობაში, ეს არის, შესაბამისობის გეგმა, მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით, 5.2.3.-1,3,4,5,6 ინდიკატორებისთვის, სადაც ნავარაუდევია რომ უნდა იყოს შემოწმების დადასტურების წყარო ვებ-გვერდი და კატალოგი, აღნიშნულთან დაკავშირებით იქნა შესაბამისობის რეკომენდაცია გაცემული და დაწესებულების მხრიდან იქნა გათვალისწინებული. **.** აღნიშნული გეგმის გათვალისწინებით, ექპერტების მიერ ინდიკატორი ფასდება როგორც „მეტწილად შეესაბამება“.
ექსპერტის განცხადებით, არის შეფასებები, რომლებიც არგუმენტირებული პოზიციით დაფიქსირებული წერილის ფარგლებში, როგორც ახსნა-განმარტებითი, ასევე დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იქნა შეცვლილი, შესაბამისობის რეკომენდაცია ფორმულირდა, როგორც განმავითარებელი რეკომენდაცია. აღნიშნული ეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს, რომლის მექანიზმი უნდა იყოს უზრუნველყოფილი.
5.2.2-1 ინდიკატორი - ექპერტის განცხადებით, შემოწმების შედეგების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის მოწოდებულ პირად საქმეებში არ არის განთავსებული საქმისწარმოების ინსტრუქციის ჩამონათვალით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრული პერსონალის პირადი საქმის შემადგენლობის ჩამონათვალში არ შედის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლეობის შესახებ ცნობა, რასთან დაკავშირებითაც მხედველობაში იქნა მიღებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით მოწოდებული განმარტება-პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტების ჩამონათვალის ,,თ“ ქვეპუნქტი*:* „სხვა სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებულის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობასთან.თუმცა შემოწმების შედეგების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ყველა პირის მოწოდებულ პირად საქმეებში არ არის განთავსებული საქმისწარმოების ინსტრუქციის ჩამონათვალით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. დამატებით აღსანიშნავია, რომ პირადი საქმეების შესწავლის საკითხი გართულებულია ნაკლებად მოწესრიგებულობის გამო. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.
რეკომენდაცირებულია, დაწესებულებამ ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, გადახედოს და შესაბამისობაში მოიყვანოს საქმისწარმოების ინსტრუქცია და პირადი საქმის შემადგენლობა კანონმდებლობასთან მიმართებაში, მოაწესრიგოს პირადი საქმეები დადგენილი რეგულაციის თანახმად და უზრუნველყოფილი იქნას აქტით დადგენილი გადაწყვტილების შესრულება (მეორე აქტის გამოცემის თაობაზე). ექსპერტის თქმით, ვიზიტის შემდგომ არის ბრძანება გამოცემული, სადაც კანცელარიის თანამშრომლებს აქვთ დავალებული აღნიშნული ცნობების მოგროვება და განთავსება პირად საქმეებში.

ექსპერტმა დიანა გახარიამ, განაგრძო საუბარი, იმ შეფასებებზე, რომლებიც ვერ შეიცვალა დაწესებულების მხრიდან.
5.1.1-2 ინდიკატორი - ცენტრისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი მოწყობილი/მომზადებულია

სარგებლობისთვის. პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას საკითხი დარეგულირებულია დაწესებულების რამდენიმე დოკუმენტში, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთგვაროვანი ჩანაწერით პროფესიული სტუდენტების უფლებების ნაწილში: „ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსებით.“
დაწესებულების მიერ, არგუმინტირებული პოზიციის ფარგლებში, ზემოაღნიშნული 2 დოკუმენტისა გარდა წარმოდგენილი 7 სხვადასხვა მტკიცებულების - „წესდება“, „შინაგანაწესი“, „მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება, ,,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია“, ,,ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია“, ,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი“ და ,,ბსუ-ს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ - ჩანაწერები არ ეხმიანება ინდიკატორის მოთხოვნას, მით უფრო საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების შესაძლებლობის საკითხს და ზოგადად არ გამოყოფს სარგებლობის წესსა და პირობებს, არამედ ახდენს პროფესიული სტუდენტების რესურსებით სარგებლობის მხოლოდ უფლების დეკლარირებას.
ვინაიდან დაწესებულებაში არ არის შემუშავებული წესი/რეგულაცია/პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურის, საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.
რეკომენდირებულია, ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებაში, შემუშავდეს რეგულაცია/წესი პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის მატერიალური რესურსების და საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობის და სარგებლობის პირობების შესახებ/შესაბამისი პირის სამუშაო აღწერილობა მოიცავდეს აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის ვალდებულებას.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რა მატერიალურ რესურსზე იყო საუბარი, რომელშიც ექსპერტებს ეპარებოდათ ეჭვი, რომ სტუდენტების სარგებლობაში ვერ იქნებოდა გამოყენებული. მისი თქმით, პროგრამაში და მოდულებში მკაფიოდ არის გაწერილი რა მატერიალური რესურსი არის თითოეული პროგრამისთვის და ეს რესურსი არის სტუდენტებისთვის. ექსპერტმა გადაცხადა, რომ საუბარი იყო იმ პირის გამოყოფაზე, რომელიც იქნებოდა პასუხისმგებელი, რომ აღნიშნული მატერიალური რესურსი იქნებოდა ხელმისაწვდომი ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. აღნიშნული, რამდენად არის ხარვეზის საფუძველი.

ექსპერტის თქმით, მოდულებით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსზე კითხვა არ გაჩენილა, არც სააუდიტორო ფონდზე, საუბარი იყო მთლიანად დაწესებულების ინფრასტრუქტურაზე. ინდიკატორების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექსპერტი ეყრდნობოდა ინდიკატორის მოთხოვნებს, განმარტებებს და რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავებული იყო სტანდარტის ფარგლებში.

2.4.2-1,2,4 - ინდიკატორები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებას და გასაჩივრების პირობებს, დადგენილია, რომ წინმსწრები მოდულების დადასტურება სავალდებულოა სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში, თუმცა სასწავლო გეგმაში, მიღებული ფორმატიდან გამომდინარე, მითითებულია არა შეფასების ვადები არამედ, მოდულების დაწყებისა და დასრულების თანმიმდევრობა და ინტენსივობა.
ექსპერტის განცხადებით, მარეგულირებლის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები ეცნობება არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, თუმცა არ არის მითითებული

ნაგულისხმევი ათვლის დრო - შეფასების ჩატარების დღიდან, რეგულაციაში არ იკითხება შედეგების მიწოდების ფორმა და მის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი. შეფასების გაცნობას არეგულირებს მარეგულირებელი წესის დანართი 1 - მოდულის სწავლის შედეგების შეფასების შემაჯამებელი ფორმა, სადაც ვხვდებით პროფესიული სტუდენტის ხელმოწერის გრაფას „გავეცანი და ვეთანხმები მიღებულ შედეგს“.
წესის მიხედვით, შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს 3 სამუშაო დღის ვადაში, შედეგების გაცნობიდან. დირექტორი 2 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას კომისიური წესით განხილვის ან განუხილველობის შესახებ, რეგულაციაში არ არის აღწერილი კომისიური წესით განუხილველობის შემთხვევა. კომისია განიხილავს საკითხს 2 სამუშაო დღეში და მიუთითებს, რომ „შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება“, არ არის განმარტებული შეფასების დანიშვნის გადაწყვეტილებისგან განსხავებული შემთხვევები და განმეორებითი შეფასების დანიშვნის საფუძვლები, ამასთან ტერმინი „განმეორებითი შეფასება“ გამოყენებულია ორგვარი გაგებით, როგორც დამატებითი შეფასება და როგორც აპელაციის შედეგად დანიშნული შეფასება.
დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა და ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცდომილებებით. ამგვარად, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია *რაც ფასდება როგორც „არ შეესაბამება“*. რეკომენდირებულია, რომ დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი საჭიროებს პროცესების - ვალიდაცია და ვერიფიკაცია გამიჯვნას, დასახვეწია შეფასების სისტემა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით თუ დაფიქსირდა ხარვეზები, გაეკეთებინა აქცენტები.
დარგის ექსპერტის, მედეა ზურაბიშვლის განცხადებით, „ბუღალტრული აღრიცხვის“ მიმართულებით შემოწმდა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აღნიშნულთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ასევე, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით, შემოწმდა მასწავლებლების კომპეტენცია, როგორც გასაუბრებით, ასევე არსებული დოკუმენტაციით და ყველაფერი წესრიგში იყო. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, სასწავლებელს აქვს რეგულაცია, რომლის შესაბამისად გათვალისწინებულია როგორც ხელმძღვანელის, ასე თანახელმძღვანელის არსებობა. პროგრამის თანახელმძღვანელთან მომხდა გასაუბრება, შემოწმდა მისი პირადი დოკუმენტაცია და აღნიშნული კრიტერიუმიც დაკმაყოფილებულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხავეზები არ დაფიქსირებულა არცერთ კრიტერიუმში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ინგა ბოჭოიძემ განმარტა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც ავტორიზებულ დაწესებულებას, ამ შემთხვევაში, აღნიშნული პროგრამების განხორციელების ადგილის / ფართის ცვლილებით, რისკი არ ექმნება.

ამის შემდეგ დარგის ექსპერტმა, მედეა ზურაბიშვილმა ისაუბრა ”საფინანსო სერვისების“ მიმართულებით, შემოწმდა დაწესებულების მდგომარეობა, მატერიალურ რესურსსა და ადამიანურ რესურსში ხარვეზები არ დაფირქსირებულა. რაც შეეხება ხელმძღვანელს, ამ შემთხვევაშიც პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება არ მომხდარა, მხოლოდ პირადი საქმის შესწავლით, ეჭქვეშ დადგა დარგობრივი კომპეტენციის გარეშე რამდენად შეძლებდა ხელმძღვანელი ამ საქმიანობის შესრულებას. მისი განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს განათლების დამადასტურებელი საბუთი, ამ მიმართულებით, თუმცა პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არ გააჩნია. მისი თქმით, დაწესებულების მიერ გადაიდგა შემხვედრი ნაბიჯები და თანახელმძღვანელი იქნა დამატებული ამ პროგრამის მიხედვით, რომლის კომპეტენცია საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო. აღნიშნული ცვლილება ვიზიტის ფარგლებში არ იყო განხორციელებული. ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ხორციელდება A,B,C სასწავლო

გარემოში, C სასწავლო გარემო გულისხმობს პრაქტიკის ობიექტებს, პრაქტიკის ობიექტები არის ლიბერთი ბანკი და ლაზიკა კაპიტალი, თუმცა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში არ იყო დაფიქსირებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, ერთდროულად რამდენ სტუდენტს მოემსახურებოდა პრაქტიკის ობიექტი. აღნიშნულზე დაფიქსირდა შენიშვნა და იმავე დღის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელშიც იყო მითითებული სტუდენტთა რაოდენობა, თუმცა მოწოდებული დოკუმენტაცია არ აუმჯობესებდა მდგომარეობას, არ იყო სწორად შედგენილი. ამიტომ მხედველობაში მიღებულ იქნა ძველი დოკუმენტაცია და არა შეცვლილი.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ერთდროულად რამდენი სტუდენტის მიღების მზაობა დააფიქსირა პრაქტიკის ობიექტმა, გასაუბრების დროს.

ექსპერტის განცხადებით, რაოდენობა გასაუბრების დროს არ იყო დაფიქსირებული, თუმცა თუ გაითვალისწინებდნენ იმას, რომ მაქსიმუმ 30 სტუდენტის მიღება შეუძლია პრაქტიკის ობიექტს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შესაძლებელი იქნებოდა.

დარგის ექსპერტის მანანა მახარაშვილის განცხადებით, „საბიბლიოთეკო საქმის“ მიმართულებით, შემოწმდა სამივე კომპონენტი, ხარვეზი დაფიქსირდა პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით, რომელსაც არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია პროგრამაში, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულების რეგულაციაში არის გაწერილი, რომ შესაძლებელია პროგრამას ჰყავდეს თანახელმძღვანელი. დაწესებულებამ ვიზიტის შემდეგ განახორციელა ცვლილება და დაამატა თანახელმძღვანელი, არჩეული თანახელმძღვანელი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე. ექსპერტის განმარტებით, სხვა მხრივ, დაწესებულებაში პროგრამის განხორციელებას ხელი არ შეეშლება.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომდგენლის, მადონა მიქელაძის განცხადებით, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი შეიქმნა 2018 წელს, იმავე წელს დაიწყო ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, რომელიც კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. 2021 წელს აღნიშნული სასწავლო კორპუსი ექსპლუატაციაში შევიდა. მისი განმარტებით, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული და შესაბამისად უნივერსიტეტის რეგულაციები ვრცელდებოდა პროფესიულ პროგრამებსაც, მაგრამ ყველა რეგულაცია საერთო არ ჰქონდათ.
მადონა მიქელაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც დებულებით, ოფიციალურად პასუხისმგებელია ყველა საკითხის დარეგულირებასა და წარმართვაში. სასწავლებელს მატერიალური რესურსის გამოყენების მიმართულებით პრობლემა არ შექმნია და არც ხარვეზი დაფიქსირებულა შემოწმების ფარგლებში არასდროს.
5.1.1-2 ინდიკატორთან დაკავშირებით, მადონა მიქელაძის განმარტებით, ბსუ-ს პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ხელმისაწვდომია ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, აღნიშნულის შესახებ უნივერსიტეტის ვალდებულება და შესასრულებელი ფუნქციები დეკლარირებულია, არა მხოლოდ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების განსახორციელებელ მარეგულირებელ წესში, არამედ, ბსუ-ს წესდებაში, შინაგანაწესში, მატერიალური მართვის დეპარტამენტის დებულებაში, ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციაში, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების

ინსტრუქციაში, საერთო საცხოვრებლის სარგებლობის წესსა და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში.
ამის შემდეგ მადონა მიქელაძემ ისაუბრა შეფასებებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემაა პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში, არაერთი ტრენინგი განხორციელდა ამ მიმართულებით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (შემდგომში-ცენტრი) და დარგის ექსპერტებთან ერთად. დოკუმენტი, რომელიც იქნა ხსენებული, არაერთ ცვლილებას განიცდიდა, ვითარდებოდა ექსპერტთა ვიზიტებისა და რეკომენდაციების კვალდაკვალ. დაწესებულებას შეფასების მექანიზმი აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად ექსპერტები აღნიშნულ დოკუმენტს განიხილავდნენ და რეკომენდაციებს გასცემდნენ. ცენტრის ტრენინგებისა და გზამკვლევების საფუძველზე, სასწავლებელმა მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებებიც განახორციელა.
პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით, მადონა მიქელაძემ განაცხადა, რომ ფინანსური სერვისები/ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამები, როდესაც წარადგინეს, შემდგომ დამტკიცდა ახალი სტანდარტი. ახალი სტანდარტით სატყეოსა და მებაღეობის პროგრამები წარადგინა დაწესებულებამ და აღნიშნულში უკვე ორ-ორი ხელმძღვანელი ჰყავდათ, დარგის სპეციალისტები და დიპლომირებული სპეციალისტები, რადგან ექსპერტებთან აღნიშნული საკითხი წამოიჭრა, ბუნებრივია დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას და საფინანსო სერვისებზე და ბიბლიოთეკარზე თანახელმძღვანელებად სასწავლებელმა დაამატა პრაქტიკოსი სპეციალისტები და აღნიშნა, რომ საფინანსო სერვისების თანახელმძღვანელი, თავად სავაჭრო ობიექტის მფლობელი იყო და შორს არ იყო ამ პრაქტიკიდან.
რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, მან განმარტა, რომ როდესაც სატყეო საქმისა და მებაღეობის პროგრამების წარდგენა მოხდა, მაშინ ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრაზე მემორანდუმში, აქვე დანართის სახით, თუ შედეგები გადატანილი იყო პრაქტიკის ობიექტზე დანართად უნდა დაერთო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალი, რითაც ისარგებლებდნენ სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე, აღნიშულიც დანართად ყოფილიყო. მისი თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, ვინაიდან აპირებდნენ ახალი ფართის დამატებას. 10 ივლისს დაწესებულება დაუკავშირდა 4 ობიექტს, რომლებთანაც გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი და ითხოვა ცვლილების შეტანა. ცვლილება განხორციელდა და გაჩნდა ჩანაწერი სტუდენტთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ დანართში ტექნიკური ხარვეზის გამო დანართის სახით გაიგზავნა პროგრამა თავისი დანართებით. ბუნებრივია, როდესაც ექსპერტებმა ნახეს აღნიშნული, გაჩნდა კითხვა სად ახორციელებდა დაწესებულება ამ მოდულებს. დაწესებულების პასუხი იყო, რომ პროგრამების განხორციელება ხდებოდა უნივერსიტეტის გარემოში. ხარვეზის აღმოჩენის შემდეგ, დაწესებულებამ მიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პრაქტიკის ობიექტებს, განხორციელდა ცვლილება და პროგრამის დანართები მემორანდუმიდან ამოიღეს და სტუდენტების რაოდენობა დარჩა ისე, როგორც იყო.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სტუდენტები პროგრამის „ფინანსური სერვისები“ ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე გადიოდნენ თუ არა.
მადონა მიქელაძემ განაცხადა, რომ სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას ობიექტებზე გადიოდნენ, ოთხ ობიექტთან იყო მემორანდუმი გაფორმებული.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა მონიტორინგის განხორციელება საფინანსო სერვისების პროგრამაზე კომპონენტების 2.2. და 5.2 შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების

პერიოდი 2022 წლის 27 ივნისიდან (თარიღი შეთანხმდა დაწესებულებასთან). მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8 (შორენა ჯაფარიძემ კენჭისყრაში ვერ მიიღო მოაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო)
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:245428158) „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (**დანართი 2**).

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8 (შორენა ჯაფარიძემ კენჭისყრაში ვერ მიიღო მოაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო)
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:245428158) „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (**დანართი 3**).

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „საფინანსო სერვისების“ პროგრამაზე კომპონენტების 2.2. და 5.2 შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 27 ივნისიდან. მონიტორინგის

განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8 (შორენა ჯაფარიძემ კენჭისყრაში ვერ მიიღო მოაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო)
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:245428158) „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (**დანართი 4**).

გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 24 იანვარი.

დღის წესრიგით განსაზღვრული მეხუთე საკითხის განხილვისას, შპს საქართველოს საავიაციო აკადემიის წარმომადგენლებმა, ტექნიკური პრობლემების გამო, ვერ შეძლეს ჩართვა სხდომის მიმდინარეობაში, საკითხის განხილვა გადატანილ იქნა შემდეგ საკითხად.

5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ანა უგულავას და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ანა უგულავას განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტების შესაბამისობის შემოწმება.
ანა უგულავას განცხადებით, დღეის მდგომარეობით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 68 ორ ცვლაში, ჯგუფში 34 სტუდენტი. დაწესებულებას სურს დამატებით 68 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვება. დაწესებულების მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა განპირობებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული პროგრამის მოთხოვნის მაღალი მაჩვენებლითა და მათ მიერ გამოყოფილი კვოტის სრულად ათვისებით. კერძოდ, www.vet.emis.ge - ის მონაცემებით, სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე სულ დარეგისტრირდა 189 მოთხოვნა, ხოლო კოლეჯისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ამ პროგრამაზე შეადგენს 68-ს. სწორედ ამიტომ დაწესებულებამ მიიღო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირების გადაწყვეტილება.
ექსპერტის განმარტებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ხსენებული საფუძველი ვიზიტისას დეტალურად იქნა ახსნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის კოლეჯის დირექტორისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ. მათი მხრიდან ასევე წარმოდგენილ იქნა მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამოღებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან). წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია. ასევე, ადგილზე ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: ერთი A გარემო, N7 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 34 პროფესიულ სტუდენტზე.
ამის შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა დამატებით გამოვლენილ გარემოებაზე. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის გათვალისწინებით, კოლეჯმა დაიმატა ახალი აუდიტორია (მდებარე ქ.თბილისი, დ.ბაქრაძის ქ N6, აუდიტორია N17). მატერიალური რესურსის ადგილზე დათვალიერება/შესწავლისას დამატებულ აუდიტორიაში არ გახლდათ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის რადიატორი, რომელიც შეძენილი ჰქონდა დაწესებულებას (რესურსის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინა კოლეჯმა, თავად რადიატორიც შეფუთული ფორმით აუდიტორიაში იყო განთავსებული). კოლეჯმა აღნიშნული ხარვეზის თაობაზე მიმდინარე წლის 16 ნოემბერს თავადვე მოახდინა ცენტრის ინფორმირება, სადაც აღნიშნა, რომ აუდიტორიის გათბობა ხორციელდება კონდენციონერის საშუალებით. ვინაიდან ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1.1.4 კომპონენტი ითვალისწინებს, რომ კოლეჯის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცენტრალური გათბობის სისტემით,ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით გარემოება ფასდებოდა როგორც ხარვეზი, მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილისა წარმოების პროცესში დაწესებულების წარმომადგენელთა მხრიდან შემუშავებულ იქნა და ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა

ბრძანებით. ექსპერტების მოსაზრებით წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რელევანტურია და დასახელებული ორი თვის ვადა სრულიად საკმარისია გათბობის რადიატორის მონტაჟისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მიერ კომპონენტი 5.1.1.4. შეფასდა მეტწილად შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირებამდე კოლეჯს 3 (სამი) წლის ვადით ხელშეკრულებების გაფორმებული ჰქონდა ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღებთან ა(ა)იპ N73–ე და „ხუთკუნჭულა“. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ დაწესებულებამ დამატებით გააფორმა ხელშეკრულებები ქ. თბილისის N197-ე და N198-ე საბავშვო ბაღებთან. თითოეული მათგანი უზრუნველყოფს 17-17 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, 2 ცვლაში. ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 წლის ვადით. დარგის ექსპერტის ქეთევან ღვანიძის განმარტებით, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი დაწესებულებების (საბავშვო ბაღების) წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა, პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის.
ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება , რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ (ს/კ:412683813) დანართით განსაზღვრულ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 136-ით **(დანართი 5).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 24 იანვარი.

საბჭოს წევრმა სერგო ნოზაძემ დატოვა სხდომა 16:33 საათზე
სხდომას შემოურთდა მარიამ ჩაგელიშვილი 16:44 საათზე
საბჭოს წევრმა ნატალია კვაჭანტირაძემ დატოვა სხდომა 16:56 საათზე
საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ დატოვა სხდომა 17:19 საათზე

6. შპს საქართველოს საავიაციო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ეკატერინე გიგაშვილს და წარმატებები უსურვა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის პირველი ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა ადგილზე, 2021 წლის 11-12-13 ოქტომბერს და გადამოწმდა ადგილზე, როგორც მატერიალური, ასევე პროგრამული რესურსი და ყველა ის მექანიზმი და სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება არ ახორციელებს პროგრამებს, შესაბამისად აქტიური სტუდენტების არარსებობის გამო, სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მიერ ზოგიერთ კომპონენტში დაწესებულების ნორმატიულ აქტებში გაწერილი მექანიზმების შესრულება და განხორციელება და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ვერ იქნა შეფასებული.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას უფლება აქვს განახორციელოს ორ პროგრამა. ხარვეზები და რეკომენდაციები საერთოა ორივე პროგრამასთან მიმართებით: საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2); საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1).

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულებაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მე-5 სტანდარტთან მიმართებით.
დაფიქსირებული ხარვეზები:
ინდიკატორი5.1.1.4. - დაწესებულება მდებარეობს საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე, ანგარის შენობაში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემა ექსპერტთა მოთხოვნაზე, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით დირექტორმა მიგვანიშნა ელექტრო გამათბობელების არსებობაზე, რომელიც ვიზუალური დათვალიერებითაც დგინდება. მან დამატებით განმარტა, რომ ანგარის ტერიტორიაზე არსებული აალებადი ნივთიერებების არსებობის გამო ცენტრალური გათბობა შენობაში დაუშვებელია. თუმცა დოკუმენტურად ექსპერტებს არ მიეწოდათ შესაბამისი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა ხარვეზად,

რადგან ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნით დაწესებულების შენობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს დენის რადიატორები და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრებიც.

ინდიკატორი 5.1.2.4. - დაწესებულებაში წესრიგის დაცვაზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია დაცვის სპეციალისტი, რომელსაც სამუშაო აღწერილობის მიხედვით დაწესებულების მთელ პერიმეტრზე ევალება წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. დაწესებულების ცენტრალურ გარე შესასვლელი ტურნიკეტის გამოყენებით კონტროლდება, რაც გამორიცხავს შენობის შიდა პერიმეტრზე უცხო პირთა შესვლის საკითხს. გარდა ამისა, შენობა, რომელშიც აქვს კოლეჯს ნაქირავები ფართი გარე და შიდა პერიმეტრზე კონტროლდება ვიდეოგადაღების ფუნქციის მქონე კამერებით, კონტროლდება ასევე კოლეჯის შესასვლელი, მაგრამ კოლეჯის შიდა პერიმეტრზე კამერები არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე ექპერტთა მიერ დადგინდა ხარვეზი, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე ვერ უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 5.2.2.2- ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ დაადასტურა ელექტრონული საქმისწარმოების გამოყენება, თუმცა 2020 წლის 1 აპრილს შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის“ (ასე ერქვა შპს საქართველოს საავიაციო აკადემიას სახელის შეცვლამდე) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №15 სუს სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთან, დაწესებულების მიერ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება, მიმწოდებლის სერვერზე განთავსება და მისი ადმინისტრაციული მომსახურების შესახებ. დაწესებულებამ მომსახურების ხელშეკრულებასთან ერთად წარმოადგინა გადახდის ქვითრები, თუმცა დაწესებულების მიერ არ ხორციელდება ელექტრონული საქმის წარმოება და ექსპერტების მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც ხარვეზი.

ინდიკატორი 5.3.1.(1.2.3.4.) - სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის რესურსებით უზრუნველყოფის გრაფაში ფინანსური უზრუნველყოფის წყარო არ არის მითითებული. დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი პსდს-საქმიანობის დაფინანსების წყარო.

ექსპერტების მიერ ვერ შეფასდა რა ფინანსური რესურსით იქნება უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. ინდიკატორი შეფასდა როგორც ხარვეზი.

ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავიშრებით.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

ინდიკატორი 1.2.1.3 - კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია კოლეჯის მისიასთან თავსებადი მიზნები, მისი შესაბამისი ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებაში არსებობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს 2021 სასწავლო წლის პერიოდში დაწესებულების ამოცანებს, აქტივობებს, ინდიკატორებს, შესრულების ვადებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, საჭირო რესურსებს.

2021 წლის სამოქმედო გეგმა არ არის სრულად თანხვედრაში სტრატეგიულ მიზნებთან, რადგან მასში სტრატეგიული გეგმის ცვლილების გარეშე დამატებულია ერთი ახალი სტრატეგიული მიზანი და ამოღებულია მეორე - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/რესურსების განვითარება. ინტერვიუს პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოხატეს მზაობა, რომ ისინი აუცილებლად მოიყვანდნენ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებს თანხვედრაში.

აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ დასახული სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე დაისახოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო თუ სტრატეგიული მიზნები აღარ არის მათთვის რეალური, მოხდეს სტრატეგიული გეგმის გადახედვა.

ინდიკატორი 1.2.2.1.- ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწერილი პროცედურის მიხედვით განახორციელოს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, ან შესაბამისობაში მოიყვანოს შიდა მარეგულირებელ აქტში ასახული ქმედებები რეალურად განხორციელებულ აქტივობებთან.

ინდიკატორი3.1.1.1. - დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს ფორმალური განათლების აღიარების წესი და პირობები.

ინდიკატორი 3.1.1.4. - შიდა მარეგულერებელ აქტში გაჩნდეს ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების მომზადებასა და გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1.5. - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში გაჩნდეს ჩანაწერი ამ ფუნქციის შესახებ.

ინდიკატორი 3.2.1.1. - დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტში გაწეროს კონკრეტულად, რომელი საკომუნიკაციო საშუალებით მოახდენენ სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების გაცნობას.

ინდიკატორი 5.1.1.11 - ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში გაკეთდეს სასწავლო მასალის მომხმარებასთან დაკავშირებით მკაფიო ჩანაწერი.

ინდიკატორი 5.2.3.4. - კატალოგი არის ფორმალური დოკუმენტი, რომელიც არ მტკიცდება, კატალოგში დაინტერესებული პირებისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდეს, როგორიცაა პროგრამის საფასური, დაწესებულების ისტორია, ძირითადი ფასეულობები და ღირებულებები. ასევე მნიშვნელოვანი პარტნიორი ორგანიზაციების ან პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ექსპერტთა შეფასებით, ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებაშიც გამოვლინდა შეუსაბამობები. კერძოდ,

<u>ხარვეზები და რეკომენდაციები საერთოა ორივე პროგრამასთან მიმართებით:</u> *საჰაერო ხომალდ ების ტექნიკური მომსახურება (B2);საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)*

-

ინდიკატორი 2.1.1.(4.) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ინდიკატორი2.2.1.(1.) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ინდიკატორი2.2.1.(2.) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ინდიკატორი2.2.1.(3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ უდასტურდებათ ინგლისური ენის კომპეტენცია (პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე);

ინდიკატორი2.2.1.(5). საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (უახლესი გამოცემები) არ არის ხელმისაწვდომი ელექტრონული და მატერიალური სახით;

რეკომენდაციები:

ინდიკატორი 2.1.1.(1) - საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პსდ-ს მისიას. გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტს, რომელშიც განხილულია მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) პროგნოზირებადი ანალიზი მგზავრთა ნაკადის გაზრდის შესახებ. აღსანიშნავია რომ, წარმოდგენილი დოკუმენტით არ

იკვეთება კონკრეტულად საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტების მოთხოვნის შესახებ მონაცემები, ასევე აღსანიშნავია რომ არ იკვეთება ადგილობრივ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ან/და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასახული იყოს ადგილობრივ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა ან/და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

ინდიკატორი 2.1.1.3. - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ, თუმცა მასში დეტალურად არ არის გაწერილი თუ რა რაოდენობის, მატერიალური ტექნიკური რესურსი, ლაბორატორიული ბაზა, სასწავლო ლიტერატურა და საჰაერო ხომალდია საჭირო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს თუ რა რაოდენობის, მატერიალური ტექნიკური რესურსი, ლაბორატორიული ბაზა, სასწავლო ლიტერატურა და საჰაერო ხომალდია საჭირო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით.

ინდიკატორი 2.3.1.(2) - პროგრამაში ცვლილების შეტანის წესები და პროცედურები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესში. დაწესებულებას შეეცვალა დასახელება თუმცა, შესაბამისი ცვლილებები არ არის ასახული საგანმანათლებლო პროგრამასა და მოდულებში. აღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამასა და მოდულებში ასახოს დაწესებულების დასახელების ცვლილებით გამოწვეული საკითხები.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამულ სტანდარტთან დაკავშირებით, **2.1 და 2.2 კომპონენტი „არ შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, *გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებაში ამ დრომდე არ განხორციელებულა სასწავლო პროცესი, ექსპერტების მიერ 2.3 და 2.4 კომპონენტები ვერ შეფასდა.***

დარგის ექსპერტმა, ნიკა თიკანაშვილმა, ყურადღება გაამახვილა რამოდენიმე საკითზე, რომელიც დარგის ნაწილში გაჟღერდა. კომპეტენციის დადასტურებასთან დაკავშირებით, ექსპერტის თქმით, არ არის საუბარი იმ პირებზე, რომლებიც ექვემდებარებიან სამოქალაქო საავიაციო სააგენტოს მიერ სერტიფიცირებას, პროგრამა არის ინგლისურენოვანი და აგრეთვე პროგრამა მოიცავდა ინგლისურ ენაზე ისეთ სასწავლო კურსებს და მოდულებს, რომლებიც არ ექვემდებარებოდა სერტიფიცირებას, ეს არის ინფორმაციული წიგნიერება და მეწარმეობა, რომლის განმახორციელებელ პირებს არ უდასტურდებოდათ ინგლისური ენის კომპეტენცია, სერტიფიკატის სახით. როდესაც არის საუბარი, ისეთ რეგულირებად მიმართულებაზე, რომელიც ექვემდებარება სერტიფიცირებას და არის ევროპის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ შეუშავებული პროგრამის შედეგად დამტკიცებული, შესაბამისად, ის სასწავლო რესურსი თუ შეფასების მექანიზმები, რომლებიც ამ პროგრამაზე მოქმედებს, უნდა ექვემდებარებოდეს განახლებას. დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი ორიგინალი ვერსიები და ასევე ექსპერტებს არ უნახავთ, როგორ ხდებოდა ამა თუ იმ მოდულის შეფასება.

შორენამ ჯაფარიძემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა თუ არა ახალი ლიტერატურა.

ნიკა თიკანაშვილის განცხადებით, ბიბლიოთეკაში არის ელექტრონული ვერსიებიდან ამობეჭდილი მასალები, სასწავლო ლიტერატურის სახით. ორიგინალი ვერსიები არ იყო , არც ელექტრონული ვერსიები და კითხვათა ბანკი უნახავთ ექსპერტებს. ელექტრონული

ვერსიებიდან ამობეჭდილი მასალები არის 2016 წლის, როდესაც, განახლებული სტანდარტების და რეგულაციების მიხედვით, ცვლილება განხორციელდა რამოდენიმე მოდულში. მან ასევე ყურადღება გაამახვილა პრაქტიკულ კომპონენტებზე. მისი თქმით, მოდულების ნაწილში, უშუალოდ განმახორციელებელ რესურსში მითითებულია ლაბორატორიული ბაზა, ამ შემთხვევაში, ვერ იქნა მოძიებული სრულად, რათა მიღწეული ყოფილიყო პრაქტიკა 1-ის სწავლის შედეგები და ასევე პრაქტიკა 2-თან დაკავშირებული ის მოწყობილობები, რომლებიც წარმოდგენილი არის თავის მხრივ მოდულში, აღნიშნულის მოძიებაც ვერ მოხერხდა.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, არსებული რესურსებით, რომლებიც გააჩნდა დაწესებულებას, შეძლებდა თუ არა პროგრამების განხორციელებას.

ნიკა თიკანაშვილის განცხადებით, იმ რესურსებით. რაც ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში ნახეს, ვერ განახორციელებდა.

ამის შემდეგ შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეფიქსირებინათ პოზიცია.

ეკატერინე აზარაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკვანძო საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, ხოლო სპეციფიკურ თემებზე, რომელიც ეხებოდა საავიაციო მიმართულებას, ისაუბრებდა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი, თენგიზ სასირელი. მისი თქმით, დაწესებულებას მოკლე ხანში უწევდა რეავტორიზაციის მიზნით განაცხადის წარდგენა ცენტრში. ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ თავად წარმოადგენდა ნიუვიჟენ უნივერსიტეტის კანცლერს და ამავდროულად საავიაციო აკადემიის დირექტორს. უნივერისტეტის მიზანი პროფესიული სასწავლებლის შეძენის, არის ის რომ სხვადასხვა მიმართულებით, უნივერსიტეტის ბაზაზე განვითარდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ეკატერინე აზარაშვილმა ყურადღება გაამახვილა შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან განხორციელდა სატელეფონო ზარი და თანამშრომლობითი საუბრის შედეგად, როდესაც გაირკვა, რომ დაწესებულებას უნდა წარმოედგინა შესაბამისობის გეგმა, მიიღო კონსულტაცია და რჩევები , თუ რა სახით შეიძლებოდა ამ ინფორმაციის წარდგენა საბჭოზე. ამის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა 6 თვიანი გეგმა, ახალი მენეჯმენტის პირობებში დაწესებულების განვითარების შესახებ.
დაწესებულების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს, სტუდენტების მიღება. 6 თვის ვადაში აღმოიფხვრება ყველა ხარვეზი. დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობა იმ განმავითარებელ რეკომენდაციებზე, რომლებიც ექსპერტებმა წარმოადგინეს.

შორენა ჯაფრიძემ მიმართა დაწესებულებას, შესაბამისობის გეგმა, რომელიც წარმოადგინეს იყო დარწმუნება იმისა, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია და ახალი სტანდარტების პირობებში, როდესაც რაიმე ხარვეზი ფიქსირდება მნიშვნელოვანია გეგმის შედგენა, თუ ასეთი გეგმა არ არსებობს, მაშინ აღნიშნული რჩება ხარვეზად და თუ ასეთი გეგმა არის, დასაბუთებული რესურსებით მხარდაჭერილი, შესაძლებლობა არსებობს, ხარვეზს კვალიფიკაცია შეეცვალოს, როგორიცაა „მეტწილი შესაბამისობა“ ან „ნაწილობრივი შესაბამისობა“.

ეკატერინე აზარაშვილის განცხადებით, შესაბამისობის გეგმა, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, არ ყოფილა ეგრედწოდებული დაპირების დოკუმენტი. შესაბამისობის გეგმა დაწესებულების გუნდმა შეადგინა იმ განმავითარებელი რეკომენდაციების და ხარვეზების გათვალისწინებით, რაც დასკვნის პროექტში იყო ასახული. დაწესებულების მხრიდან გაცემულ იქნა კონკრეტული პასუხები შესაბამისობის გეგმაში.

ნიკა თიკანაშვილის განცხადებით, როდესაც საუბარია შესაბამისობის გეგმაზე, გეგმაში მითითებული უნდა იყოს როგორც მინიმუმ რესურსები, რა რესურსებით მოხდება ხარვეზის გამოსწორება.

ამის შემდეგ ნანი დალაქიშვილმა ნებართვა ითხოვა საბჭოს თავმჯდომარისგან კომენტარის გაკეთებაზე, რაზეც თანხმობა მიიღო. მისი განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენელმა რამდენჯერმე ახსენა, რომ მას ჰქონდა კონსულტაციები ხარისხის ცენტრში, რასაც ნანი დალაქიშვილი არ დაეთანხმა და განმარტება გააკეთა, რადგან ინფორმაციის ნაკლებობის გამო სამსახური ბუნდოვან სიტუაციაში აღმოჩნდა. როდესაც სამსახურმა დასკვნის პროექტი გააგზავნა დაწესებულებაში, კოლეჯის დირექტორთან ქალბატონ მზია ოსიაშვილთან, საპასუხო წერილი შემოვიდა ნიუვიჟენ უნივერსიტეტიდან და გაურკვევლობა გამოიწვია აღნიშნულმა. ამის შემდეგ სამსახურმა დაიწყო ძიება რეესტრში, თუ რა კავშირი ჰქონდა ნიუვიჟენ უნივერსიტეტს საავიაციო აკადემიასთან და ა.შ. მისი თქმით, როდის მოხდა ამ ორი დაწესებულების გაერთიანება, რეორგანიზაცია, ცენტრის ინფორმირება არ განხორციელებულა. აღნიშნულის ძიების პროცესში, სამსახურმა მოიძია ეკატერინე აზარაშვილის ნომერი და დაუკავიშრდა. შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა წარმოედგინა დაწესებულებას, სატელეფონო საუბრის დროს სამსახურს მათთან არ უსაუბრია.
ნანი დალაქიშვილმა ყურადღება გაამახვილა დაწესებულების ავტორიზაციის ვადის თაობაზე. მისი თქმით, დაწესებულებას 2022 წლის ივლისში ეწურება ავტორიზაციის ვადა და ამ დროისთვის უკვე შემოტანილი უნდა ჰქონოდა განაცხადი.

ეკატერინე აზარაშვილის განცხადებით, რეორგანიზაცია და მიერთება აღნიშნული ორი დაწესებულების არ განხორციელებულა. ნიუვიჟენ უნივერსიტეტი გახდა 100%-იანი წილის მფლობელი, შესაბამისად უნივერსიტეტი არ აპირებს თავად მიიერთოს კოლეჯი. როგორც ცალკე მდგომი შპს საქართველოს საავიაციო აკადემია, წარმოადგენს ახალ განაცხადს ავტორიზაციის შესახებ.

თენგიზ სასირელმა, 2.1.1ინდიკატორთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება. მისი თქმით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მოხდა გადამოწმება სახელმძღვანელოების, მაგალითად, ისეთი მოდულების, როგორიცაა საავიაციო კანონმდებლობა და ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ არ იყო განახლებული, რაზეც დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნულს, გამომდინარე იქიდან, რომ საავიაციო კანონმდებლობა, რომელიც წარმოდგენილია სახელმძღვანელოში, მოძველებულია, ექსპერტებმა რეფერენსი გააკეთეს ევროპულ საავიაციო კანონმდელობაზე. თენგიზ სასირელმა, აღნიშნა, რომ სტუდენტებს ასწავლიდნენ ქართულ რეალობაში, ლიცენზიის კატეგორიები განსხვავდებოდა ევროპის წევრი ქვეყნებისთვის.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა თენგიზ სასირელს, თუ დაწესებულება აპირებდა პროგრამის განხორციელებას ინგლისურ ენაზე, სადაც ვარაუდობდა, რომ დაწესებულება მიიღებდა უცხო ქვეყნის სტუდენტებს, ამ შემთხვევაში, რამდენად რელევანტური იქნებოდა მათთვის მხოლოდ ქართული კანონმდებლობის შესწავლა ევროპულ კანონმდებლობაზე დაყრდნობის გარეშე.

თენგიზ სასირელის განცხადებით, მხოლოდ ქართული კანონმდებლობით არ იყო სწავლება, აღნიშნული სახელმძღვანელოები, ამ ეტაპზე, შეესაბამებოდა ქართულ კანონმდებლობას და დამატებითი ლიტერატურის სახით იყენებდნენ ევროპულ რეგულაციებსაც. მან ასევე ყურაღება გაამახვილა, რომ სამოქალაქო საავიაციო სააგენტოსგან გაიარა დაწესებულებამ არაერთი აუდიტორული შემოწმება და შეუსაბამობები არ დაფიქსირებულა.

ქრისტინა რზგოევამ მიმართა კითხვით, რა სახის აუდიტს ატარებდა საავიაციო სააგენტო დაწესებულებაში.

თენგიზ სასირელის განცხადებით, პირველი აუდიტი, რომელიც გაიარა დაწესებულებამ, იყო აღიარების ნაწილში, ხოლო შემდგომ გეგმიური აუდიტები, რომლის ფარგლებშიც მოწმდებოდა ასევე ხარისხიც.
2.2.1(1) ინდიკატორთან დაკავშირებით, მისი განმარტებით, ხარვეზში დაზუსტებული არ იყო პრაქტიკის რომელ ნაწილს გულისხმობდნენ ექსპერტები. ექსპერტთა მხრიდან მოხდა შემოწმება ლაბარატორიის პირველი ნაწილის,ხოლო მე-2 ნაწილი რომელიც იყო აეროპორტში, არ შემოწმებულა.

ნანი დალაქიშილმა მიმართა თენგიზ სასირელს, განემარტა, რისი შესწავლა არ განხორციელებულა ექსპერტების მხრიდან და ექსპერტებს მიმართა აღნიშნულთან დაკავშირებით გაეკეთებინათ კომენტარი.

თენგიზ სასირელის განცხადებით, პრაქტიკული სწავლების დიდი ნაწილი ხორციელდებოდა აეროპორტის ტერიტორიაზე არსებულ ანგარში, სადაც არის განთავსებული სასწავლო ხომალდი და ინსტრუმენტების დიდი ნაწილი, რაც სტუდენტებს უნდა გამოეყენებინათ სწავლებისთვის, ექსპერტებს აღნიშნული არ უნახავთ.

ნიკა თიკანაშვილის განცხადებით, როდესაც საუბარი იყო ტექნიკოსების მომზადებაზე, ვინც უშუალოდ ცოცხალ თვითმფრინავს უნდა მომსახურებოდა, მათ სჭირდებოდათ განსხვავებული ლაბორატორიული ბაზა, რომელიც თბილავიამშენში ექსპერტებმა ვერ ნახეს. ასევე, ვერ მოხდა ანგარის შეფასებაც, სადაც უნდა შემოწმებულიყო მატერიალური რესურსი და ტექნიკური მომსახურების ჩატარების ხელსაწყოები, ასევე თვითმფრინავი. მონაცემები რაც იქნა წარმოდგენილი, აღნიშნულის საფუძველზე მივიღეთ ამგვარი დასკვნა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს საავიაციო აკადემიის (ს/კ: 404506502) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო აკადემიას (ს/კ: 404506502) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

შორენა ჯაფარიძემ გააჟღერა საბჭოს პოზიცია. მისი განცხადებით, საბჭო დაეთანხმა ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ხარვეზებისა და მოსაზრებების უმრავლესობას, თუმცა მასწავლებელთა მიმართებაში დაფიქსირებული ხარვეზი არ გაიზიარა., მან აღნიშნა, რომ

მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა დაწესებულებაში, დაწესებულებისთვის გარკვეულწილად გენერალური რეპეტიცია იყო და შემდგომი ავტორიზაციისთვის წარდგებოდნენ მეტად მომზადებულები და საბჭოც შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა.

აქვე დააფიქსირა პოზიცია ნანა ყუფუნიამ. დაწესებულებას გამოუცხადა მხარდაჭერა და დაადასტურა, თუ რაოდენ სტრატეგიული მიმართულება იყო ქვეყნისთვის, ასეთი დაწესებულების არსებობდა, თუმცა ამ შემთხვევაში მართებდათ დაფიქრება, 2017 წლიდან დღემდე , ასეთი სტრატეგიული მიმართულება რატომ ვერ ამუშავდა, რატომ არ ჰქონდათ მიღებები და რა უშლიდა ხელს ყოველივეს განხორციელებაში, დაწესებულებას უნდა გადაეხედა ბევრი საკითხისთვის.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ აკადემიას არსებული იურიდიული პირის სახელით 1 წლის განმავლობაში არ აქვს უფლება ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენაზე.

7. სსიპ კასპის კოლეჯის „შედუღების“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“, "სამღებრო სამუშაოების წარმოების“, "იატაკისა და ფილის სამუშაოების“, „სამკერვალო წარმოების“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „ვიზაჟის მომსახურების“ და „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მანანა მოისწრაფიშვილს და წარმატებები უსურვა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, შემოწმების მიზნით განხორციელდა ფიზიკური ვიზიტი კასპში. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ (მანანა მოისწრაფიშვილი და მანანა მახარაშვილი) ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 2 და 3 დეკემბერს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის ირმა ღარიბაშვილის მიერ (შედუღება, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, სამღებრო სამუშაოების წარმოება, იატაკისა და ფილის სამუშაოები) 2021 წლის 2 დეკემბერს. ალექსანდრე კეკენაძის (კომპიუტერული ქსელი და სისტემები), მანანა მახარაშვილის (ვიზაჟის მომსახურეობა) მანანა კობალაძის (სამკერვალო წარმოება) და დავით გუდაძის (ელექტროობა) მიერ პროგრამების შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 3 დეკემბერს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, IT სპეციალისტს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებსა და პროფესიულ

სტუდენტებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა.

ექსპერტის განცხადებით, წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბრძანებით განსაზღვრული კომპონენტები და ინსტიტუციური მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად. ამ წარმოების ფარგლებში აღნშნული კომპონენტები შეფასდა სრულ შესაბამისად.
კოლეჯში ავტორიზაციის გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამებოდა დაწესებულების პროცესებს, ვინაიდან კოლეჯის მიერ პროგრამების განხორციელების მიზნით საჭირო 65 კომპიუტერი არ იყო ჩართული სასწავლო პროცესის განხორციელებისთის და მათ მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენდა „დაწესებულების IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სრულყოფა დამატებითი კომპიუტერების შეძენით“. იგი სავარაუდოდ უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 1 სექტემბერს. კომპიუტერული ტექნიკის შეძენა უნდა განხორციელებულიყო სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით. თუმცა, აღნიშნული პროცედურა ვერ განხორციელდა ქვეყანაში კომპიუტერული ტექნიკის კონსოლიდირებულ შესყიდვებში შეფერხების გამო. ვინაიდან, კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაგეგმილი ჰქონდა სწავლების დაწყება, მათ 56 ერთეული კომპიუტერი შემოიტანეს კოლეჯში თხოვების ხელშეკრულებების საფუძველზე 5 საჯარო სკოლიდან, რომლის გამოყენების ვადად ხელშეკრულებებში მითითებულია 2027 წელი. ამ ეტაპზე, კოლეჯში ჯამში ადმინისტრაციული საქმიანობისა და სასწავლო მიზნებისთვის არის 81 ერთეული კომპიუტერი, რომლის ტექნიკური პარამეტრები შესაბამისობაშია მათ დანიშნულებასთან. კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დადასტურდება შესყიდვის ხელშეკრულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის
ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.
ექსპერტის განცხადებით, პროგრამების მე-2 სტანდარტი და ინსტიტუციური მე-5 სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„შედეგების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა

და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„სამღებრო სამუშაოების წარმოების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: **7**
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „სამღებრო სამუშაოების წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„იატაკისა და ფილის სამუშაოების“**, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„სამკერვალო წარმოების“** პ როფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„ვიზაჟის მომსახურების“** პ როფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „ვიზაჟის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯის **„ელექტროობის“,** პროფესი ული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ:205405480) „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 19:05 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კულინარიის ხელოვნება (1, 2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	80	95	ქართული	80 (1) 27 (2)	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	კონდიტერია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013	80	95	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	მხატვრული ქსოვა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	გრაფიკული დიზაინის შესრულება(1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში 0211	90	120	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	ფეხსაცმლისა დატყავის ნაკეთობათა წარმოება(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 0723	96	111	ქართული	28	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
6	ელექტროობა(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
7	იატაკისა და ფილის სამუშაოები(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
8	მომინანქრება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

9	საოფისე საქმე(1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
10	ბუღალტრული აღრიცხვა(1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
11	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	100	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
12	თექის დამზადება(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
13	თმის მომსახურება(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
14	ხის მხატვრული დამუშავება(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	78	93	ქართული	20	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
15	ძრავას შეკეთება(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	57	72	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
16	სავალი ნაწილის შეკეთება(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	ქართული	20	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
17	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი(1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

18	ვებ ტექნოლოგიები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებ ტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საბიბლიოთეკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0322
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	124

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. №6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	136
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146